

# მამაკაცი სუბრები

გენდერული ძალადობის შესახებ



# ტრენინგ მოდული

მამაკაცური საუბრები  
გენდერული ძალადობის შესახებ

**ავტორთა ჯგუფი:**

ჯონი კვინიკაძე, შოთა ხინჩაგაშვილი

თბილისი, 2010

ტრენინგ მოდული „მამაკაცური საუბრები გენდერული ძალადობის შესახებ“ შემუშავდა გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის – „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ ფარგლებში 2009 წელს.

ამ პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული შეხედულებები განხილულ უნდა იქნას როგორც ავტორთა შეხედულებები და არა როგორც გაეროს მოსახლეობის ფონდის და ნორვეგიის მთავრობის შეხედულებები

დამატებითი ინფორმაციისთვის ტრენინგ მოდულის შესახებ მიმართეთ:

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ერისთავის ქუჩა 9,  
ტელ: (995 32) 25 11 26

გამოცემის ელექტრონული ვერსია: [www.genderbasedviolence.ge](http://www.genderbasedviolence.ge)

დაბეჭდილია: შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“

ISBN: 978-9941-0-3290-5

# შინაარსი

ტრენინგის მიზანი და კონცეფცია .....	5
ტრენინგის მეთოდოლოგია .....	7
ტრენინგის პროგრამა .....	9
ტრენინგის შეფასება .....	15
გამოყენებული ლიტერატურა .....	16
დანართები .....	17

# წინასიტყვაობა

ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოების პრობლემაა და მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა ასპექტს. მისი შედეგები აისახება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე და მჭიდრო კავშირშია როგორც სოციალურ ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. პრობლემას გააჩნია კომპლექსური ხასიათი და საჭიროებს ფართო და ყოვლისმომცველ მიდგომას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მამაკაცების ჩართულობას და მათი როლის გაძლიერებას გენდერული ძალადობის დაძლევის კუთხით. სწორედ ამ მიზნით 2009 წლის აპრილში გაეროს მოსახლეობის ფონდის მონვევით საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი ექსპერტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი მაიკლ კაუფმანი, იგი არის ავტორი მეთოდოლოგიისა, რომლის თანახმადაც მამაკაცების ჩართულობა და მათი როლი გადამწყვეტია გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასა და გენდერული ძალადობის დაძლევაში. რეგიონულ ტრენინგს “მამაკაცების ჩართულობა და მათი როლი ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაში” ესწრებოდნენ ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის წარმომადგენლები. რეგიონული ტრენინგის ლოგიკური გაგრძელება კი იყო ქართულ სპეციფიკაზე მორგებული ტრენინგ მოდულის შემუშავება, რომელიც ვფიქრობთ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

# ტრენინგის მიზანი და კონცეფცია

ტრენინგი მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის დამყარებისა და გენდერული ძალადობის დაძლევის პროცესში მამაკაცების უფრო მეტი ჩართულობის სტიმულირებას. მიზნის მისაღწევად ტრენინგი აქცენტს აკეთებს ახალგაზრდა მამაკაცებზე და დაეხმარება მათ იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ მიმართავს ზოგიერთი მამაკაცი ძალადობას ქალთან ურთიერთობისას, თუ რატომ არის საზოგადოება შემწყნარებლური (ზოგ შემთხვევაში მხარდამჭერი) ამ მოვლენის მიმართ ასევე თუ რატომ ერიდებიან მამაკაცები ამ თემაზე საუბარს და რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ამას საზოგადოებისთვის.

ტრენინგის მთავარი კონცეპტუალური ასპექტია გენდერული სტერეოტიპების, როგორც მითების კრებულის გააზრება, რომელსაც არანაირი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია და სწორედ იგი არის გენდერული ძალადობის მთავარი განმაპირობებელი.

გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ხშირად ერთ ტერმინში – “მასკულინობა” (ქართული შესატყვისი შეიძლება იყოს “მამაკაცურობა”) – იყრის თავს, მნიშვნელოვნად აფერხებენ 21-ე საუკუნის საციალურ და კულტურულ გარემოში ქალისა და მამაკაცის ფუნქციათა ჯანსაღ გააზრებას.

ტრენინგის სამიზნე ჯგუფს შეადგენენ 18-23 წლის ახალგაზრდა მამაკაცები. ისინი შეირჩევიან თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მაქსიმალურად ფართო აუდიტორიის დაფარვას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერულ საკითხებზე და ძირითად ტენდენ-

ციებზე სწორი ინფორმაციის ეფექტურად გავრცელებისთვის და ასევე, ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საჭირო წინასწარი ბაზისის შესაქმნელად.

ტრენინგის შედეგად მონაწილეები:

- მიიღებენ საბაზისო ცოდნას გენდერული ძალადობის საკითხებზე;
- გააცნობიერებენ გენდერული ძალადობის შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანს;
- თანატოლ ახალგაზრდებთან (განსაკუთრებით, ბიჭებთან) მსგავს თემებზე საუბრისას უნარი ექნებათ, რომ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე სათანადო (არაკონფლიქტური, შედეგზე ორიენტირებული) რეაგირება მოახდინონ;

ტრენინგის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და პირადი ინიციატივის მნიშვნელობას;

# ტრენინგის მეთოდოლოგია

ტრენინგის მეთოდოლოგია ემყარება მოზრდილთა სწავლების პრინციპებს. ტრენინგით გათვალისწინებული სესიების უმრავლესობა ჩატარდება შემდეგი ოთხი მეთოდის გამოყენებით:

1. პრეზენტაცია (ლექცია), რომლის დროსაც ტრენერი მონაწილეებს მიანვდის აუცილებელ თეორიულ ცოდნას; აუხსნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ განმარტებებს და გააცნობს საერთაშორისო პრაქტიკას. პრეზენტაციის (ლექციის) დროს გამოყენებული იქნება ვიზუალიზაციისათვის საჭირო შესაბამისი დამხმარე მონაცხილობები: მულტიმედია პროექტორი და დაფა;
2. ჯგუფური მუშაობა: პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად მონაწილეები იმუშავებენ რეალურ მაგალითებზე;
3. ჯგუფურ მუშაობას ხშირ შემთხვევაში მოყვება ჯგუფური დისკუსიები, რაც ტრენერებს საკუთარი შენიშვნებისა და რჩევების გამოთქმის საშუალებას მისცემს. დისკუსიების დახმარებით მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ ჯგუფური მუშაობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლის დროსაც სავარაუდოდ გაჩნდება საინტერესო შეკითხვები;
4. ტრენინგის მსვლელობისას, განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოების დროს, სწავლისათვის ხელსაყრელი უსაფრთხო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ჩართულობის მაქსიმალურ დონეს და ჯგუფის დინამიურობას. პრაქტიკული სავარჯიშოების დროს, მონაწილეები დაიყოფიან სამუშაო ჯგუფებად, სავარაუდოდ 4-6 წევრიანი შემადგენლობით;

5. სამუშაო ჯგუფები იქნება მაქსიმალურად შერეული (მონაწილეები შეირჩევიან სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან), რაც განსხვავებული იდეების გაცვლას უზრუნველყოფს.

ტრენინგის ხანგრძლივობა არის ერთი დღე, რომელიც დაყოფილი იქნება 4 სესიად. ერთი სესიის ხანგრძლივობაა 90 წთ.

ტრენინგის ეფექტურობის თვალსაზრისით, თითოეულ ტრენინგს დაესწრება დაახლოებით 15 მდე მონაწილე.

მონაწილეთა შერჩევის პროცესში შესაბამისი სასწავლო დანესებულების წარმომადგენლები სტუდენტებს დაურიგებენ შესაბამის კითხვარებს. ეს ტრენინგებს საშუალებას მისცემს, რომ დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ ტრენინგის პოტენციური მონაწილეების შესახებ.

ასაკის გათვალისწინების გარდა, მონაწილეთა შერჩევისას ყურადღება მიექცევა მოზარდის მზაობას მცირე ჯგუფებში გენდერულ პრობლემეტიკაზე ღიად საუბრისთვის;

# ტრენინგის პროგრამა

დრო	აქტივობა	აღწერა (მიზანი, მეთოდოლოგია)
10:00	გაცნობითი შესავალი	<p>წინასწარი შთაბეჭდილებები და მოლოდინები</p> <p>- ტრენინგში მონაწილეობის მოტივაცია - რატომ გადაწყვიტეს დასწრება?</p> <p>- მოლოდინები: რა წარმოადგენს მათთვის შეხვედრის მიზანს? სესიის მიზანია, ტრენინგში წარადგინოს საკუთარი თავი და ფუნქცია, მოკლე შესავალი სიტყვით აუხსნას მონაწილეებს ტრენინგის დანიშნულება.</p> <p>ერთმანეთის გაცნობა</p> <p>- ტრენინგის თვითწარდგენის შემდეგ თითოეული მონაწილე ჯგუფის დარჩენილ წევრებს მოკლედ გააცნობს თავს.</p>
10:20	მუშაობის პრინციპებზე შეთანხმება	<p>ტრენინგის ჯგუფის წევრებს განუმარტავს მუშაობის ფორმატს (წინასწარ ამცნობს, რომ აქტივობები მოიცავს საერთო-ჯგუფურ განხილვებს და ასევე მცირე ჯგუფებში დამოუკიდებლად მუშაობას; ტრენინგი იქვე დააშუსტებს მისთვის კითხვების დასმის დროს და ძირითად ფთიკურ პრინციპებს; ხაზს გაუსვამს ერთმანეთის პატივისცემის აუცილებლობას, როგორც საუბრის, სხვისი მოსმენის წესს. საგანგებოდ აღნიშნავს ჯგუფური მუშაობისთვის დაუშვებელ, მიუღებელ ქცევას: ტრენინგის თანამონაწილის დაცინვა, სხვისი განსჯა).</p> <p>ტრენინგი საგანგებოდ იზრუნებს ჯგუფში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე: დისკუსიების დროს არ არსებობს მცდარი/ არასწორი აზრი და შეხედულება, „სულელური აზრი“.</p>

<p><b>10:30</b></p>	<p>გენდერული ნორმები და მოლოდინები - ძირითადი ცნებები და ტერმინები</p>	<p>როგორი უნდა იყოს იდეალური კაცი?</p> <p>ტრენერი ფლიპჩარტზე ჯგუფის წევრების კარნახით ჩამოწერს მონაწილეთა შეხედულებით იდეალური მამაკაცის ძირითად თვისებებს (და უნარებს). სავარჯიშო, რომელიც ტინის შტურმის ფორმატით წარიმართება, სესიის მეორე ნაწილში მონაწილეებს საშუალებას მისცემს, განასხვავონ ერთმანეთისგან წარმოსახული იდეალური ტიპის ერთი მხრივ, ბიოლოგიური/ფიზიოლოგიური და, მეორე მხრივ, არაბიოლოგიური მახასიათებლები (ტრენერი საგანგებოდ ამ სიტყვას - „არაბიოლოგიური“ - შეაჩვენებს, რაც გაამარტივებს სქესის გენდერისგან განსხვავების შემდგომ ამოცანას).</p> <p>სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ტრენერი მონაწილეებს თხოვს, მამაკაცის იდეალური ტიპის მათ მიერვე ჩამოთვლილი მახასიათებლების უმრავლესობიდან გამოიყონ „არაბიოლოგიური“ თვისებები და ჯგუფურად იმსჯელონ ამის შესახებ.</p> <p>ძირითადი ცნებების განმარტება</p> <p>ტრენერი, სლაიდების დახმარებით მოკლედ მიმოიხილავს მასკულიზაციის მითს და მასთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს. აგრეთვე, სავარჯიშოს შედეგების დახმარებით, მოკლედ განმარტავს სქესისა და გენდერის ცნებების არსს და ამ ორს შორის პრინციპულ განსხვავებას.</p>
<p><b>11:30</b></p>	<p>ყავა/ჩაი</p>	
<p><b>11:45</b></p>	<p>დავაჯავცება - რას ნიშნავს, გახდე კაცი?</p>	<p>ტრენინგის მონაწილეები მცირე ჯგუფებში იაქტიურებენ: სავარჯიშო ითვალისწინებს ერთმანეთს შორის ისტორიების გაზიარებას - როგორ გახდნენ ისინი კაცები? როდის იგრძნეს, რომ კაცები არიან? როდის აღიქვეს საკუთარი თავი მამაკაცად?</p> <p>სავარჯიშო ითვალისწინებს ინდივიდუალური, პირადი გამოცდილების გაზიარებას. მისი მიზანია, შეამზადოს მონაწილე და დაეხმაროს მას შემდგომში გასაცვლელი საკითხები საკუთარ განცდებთან, ცოდნასთან და გამოცდილებასთან დააკავშიროს. ამავე დროს, საკუთარი ისტორიების თხრობა ხელს შეუწყობს მონაწილეებს შორის ნდობის განვითარებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას, ახლადგაცნობილებს შორის სიუცხოვისა და უნდობლობის შემცირებას.</p> <p>ჯგუფური მუშაობის შემდეგ მონაწილეების ჯგუფებიდან ერთ-ერთი სათითაოდ შეაჯამებს შემდგომ დისკუსიას, გააცნობს საერთო ჯგუფს სხვების და საკუთარ დასკვნებსა და შთაბეჭდილებებს.</p>

<b>12:15</b>	გენდერული ნორმები და გენდერული სტერეოტიპები	<p>ამ ეტაპზე ტრენინგის მონაწილეები აღჭურვილი იქნებიან გენდერული ნორმის/მოლოდინების ცნების არსით. ტრენერი ორიოდ სიტყვით სპეციალურად განმარტავს მის სოციალურ შინაარსს, შემდეგ ახსნის „სტერეოტიპის“ მნიშვნელობას. მთავარი ყურადღება მიექცევა სტერეოტიპიზაციის გარდაუვალ ბუნებას და ასევე მის ნეგატიურ მხარეს.</p> <p>გენდერული სტერეოტიპების შესახებ მცირე ექსკურსის შემდეგ ტრენერი წახალისებს მონაწილეებს, დაასახელონ მაგალითები და შეეცადონ განმარტონ თითოეული მაგალითის სტერეოტიპული ბუნება, - რატომ/როგორ...</p> <p>- შეიძლება შეუშალოს ხელი სტერეოტიპებმა წარმატებული და კომფორტული ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარებას</p> <p>- შექმნას უხერხულობა და წარმოშვას დაძაბულობა/კონფლიქტი სოციალურ ჯგუფებს შორის</p> <p>- დაჩაგროს და გარიყოს ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი დანარჩენი საზოგადოებისგან.</p>
<b>13:00</b>	სახალისო სავარჯიშო გენდერულ სტერეოტიპებზე	დანართი #1
<b>13:15</b>	ლანჩი	

<p>14:00</p>	<p>გენდერული ძალადობა და მამაკაცები</p>	<p>ჭკუფის მონაწილეებს მიენიშლებათ მოკლე ინფორმაცია გენდერული ძალადობის განმაპირობებელ, წარმომშობ მიზეზებზე. სასესიო მინი-ლექცია მოიცავს ორ ძირითად - ისტორიულ და თეორიულ ნაწილებს.</p> <p>პირველ ნაწილში განხილული იქნება გენდერულ ნორმათა მრავალსახეობა დროსა და სივრცეში, ინტერკულტურული ფსიქოლოგიის კუთხით (ქალისა და კაცის სოციალურ როლებსა და ქცევით მოლოდინებში განსხვავება საზოგადოებიდან საზოგადოებამდე).</p> <p>მეორე ნაწილში საგანგებო ყურადღება დაეთმობა გენდერული უთანასწორობის კუთხით, ქართული საზოგადოების კონტექსტში (ტრენერი საკითხის საილუსტრაციოდ მაქსიმალურად გამოიყენებს პირველი და მეორე სავარჯიშოების შედეგებს), მამაკაცის სოციალიზაციის ტიპურ მოდელს (მასალა „7 პრინციპი“-დანართი #2).</p> <p>ტრენინგის მონაწილეები შეეცდებიან, დაასახელონ ქართულ საზოგადოებაში არსებული ტიპური ქცევის მოდელები და როლები ქალთან მიმართებაში; რაში შეიძლება გამოიხატებოდეს ქართველი გოგოს/ქალის ჩაგვრა და კაცებთან უთანასწორობა (არის თუ არა წინასაქორწინო მოთაცება, ადრეული ქორწინება, ძმების დების მიმართ პატრონაჟული დამოკიდებულება/სიმკაცრე და თავისუფლების შეზღუდვა, მონოგამიურ წყვილებს შორის ღალატის ფაქტისადმი დამოკიდებულებებში გენდერული განსხვავება და ა.შ. გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის ფორმები? რატომ?)</p> <p>ტრენინგის ხელმძღვანელი მონაწილეებს განუმარტავს გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას (ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური).</p> <p>დისკუსია მიზნად ისახავს გენდერული უთანასწორობით განპირობებული ნეგატიური შედეგების ტოლფარდობას ქალებისა და მამაკაცებისათვის, რაც ხელს შეუწყობს, მომდევნო სესიაში, გენდერული ჩაგვრისა და ძალადობის აღმოფხვრაში მამაკაცების არა მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობის, არამედ ასევე ამ საქმეში მათი ავთენტური ინტერესის ხაზგასმის ამოცანის მიღწევას.</p>
--------------	---	---

<p><b>14:45</b></p>	<p>პასუხის- მგებლობა და ვალდებულება</p>	<p>შეთავაზებული მაგალითების საფუძველზე, ჯგუფი იმსჯელებს, არის თუ არა გენდერული ძალადობის შემცველი ოჯახური კონფლიქტი ოჯახის წევრების პრივატული პრობლემა, და არსებობს თუ არა მორალური ვალდებულება, რათა სხვა ჩაერიოს და აღკვეთოს ქალის ჩაგვრა და მასზე ძალადობა.</p> <p>ტრენერი მონაწილეთა ყურადღებას მიმართავს ორ საკითხზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- (ა)მიზნები, რის გამოც ხშირად ძალადობის მსხვერპლი არ ითხოვს დახმარებას/დაცვას (პრობლემის ილუსტრირებისთვის ტრენინგის ხელმძღვანელი დაიხმარებს UNFPA 2009 წლის ეროვნული კვლევის შედეგებს და სხვა ხელმისაწვდომ მონაცემებს), (ბ) ათავისუფლებს თუ არა ეს სხვას მორალური ვალდებულებისგან, დახმარება გაუწიოს ძალადობის მსხვერპლს და (გ) კონკრეტულად რა შეუძლია მას, მოიმოქმედოს, როდესაც მსხვერპლი არ არის ინფორმირებული საკუთარი უფლებების და ძალადობისგან თავის დაცვის შესაძლებლობებში.</li> <li>- კონკრეტულად როგორ უნდა ვიმოქმედოთ გენდერული ძალადობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში (ინსტრუქტაჟი ეროვნული რეფერალის მიხედვით).</li> </ul>
<p><b>15:00</b></p>	<p>სახალისო სავარჯიშო</p>	<p>დასვით შეკითხვა - რატომ? (დანართი #3)</p>
<p><b>15:15</b></p>	<p>მოქმედებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები</p>	<p>სესია დაეთმობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების შემაფერხებელ გარემოებებს.</p> <p>ტრენერი მთავარ ყურადღებას გაამახვილებს ორგვარ სიტუაციაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სანაცნობო/საახლოლო წრეში გენდერული ჩაგვრის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების თანმხლებ რისკებზე, რაც შეიძლება ურთიერთობის გაუარესებაში, ურთიერთგაუცხოებასა ან/და აქტივისტის მარგინალიზაციაში გამოიხატოს.</li> </ul>
<p><b>15:30</b></p>	<p>ყავა/ჩაი</p>	

15:45	რისი გავლენა შეუძლია ქართველ მამაკაცს?	<p>დროის ეს მონაკვეთი დაეთმობა გენდერული ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში მამაკაცების აქტიურად ჩართვის სტრატეგიების ძიებას.</p> <p>მეთოდოლოგია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მონაწილეები გაცნობიან თეთრი ლენტის კამპანიის გამოცდილებას, მის საერთაშორისო მასშტაბებს. ხაზგასმული იქნება კამპანიის სპეციფიკურობა ყველა ქვეყანასა და კულტურაში - პლურალიზმი და დეცენტრალიზაცია.</li> <li>- საგანგებო დრო დაეთმობა თეთრი ლენტის კამპანიის წარმართვისას და, ზოგადად, გენდერული ძალადობის აღმოფხვრის საქმეში ათი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორის/გარემოების იდენტიფიცირებას. მუშაობა წარმართება პატარა ჯგუფების ფორმატში. თითოეული ჯგუფი შეეცდება, დამოუკიდებლად განსაზღვროს მთავარი სირთულეები, შემდეგ კი მოისმინოს მეზობელი ჯგუფების წევრთა კომენტარები (შენიშვნები) და მოსაზრებები. მოსალოდნელია, რომ ერთ ჯგუფში შემუშავებული იდეები სხვა ჯგუფებში კიდევ სხვა ინიციატივებსა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას შეუწყობს ხელს.</li> <li>- დასასრულს ტრენინგის მონაწილეები შეეცდებიან, თავად შეიმუშაონ ქართული სიტუაციისთვის ადეკვატური, ეფექტური კამპანია, რომელიც პირველ რიგში ბიჭებამდე და მამაკაცებამდე მიიტანს სათქმელს, იქნება ყურადღების მიმქცევი და, ამავე დროს, მიმზიდველი.</li> </ul>
17:00	ტრენინგის შეჯამება	<p>დასასრულს მოხდება კამპანიისთვის აუცილებელი და სასარგებლო იდეების თავმოყრა. იდეების შეჯამებული ვარიანტი დაურეგდებათ მონაწილეებს.</p> <p>ტრენინგის მონაწილეებს დაევალებათ თავისუფალი თემის დაწერა (3-5 გვერდი) - მისი თვალით დანახული ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში და მათი ქცევა მსგავს გარემოებებში.</p>
17:15	მონაწილეთა შეფასება	<p>მონაწილეები შეავსებენ ტესტს, რომელიც ასახავს განსხვავებას გენდერსა და სქესს შორის (დანართი #4)</p>

# ტრენინგის შეფასება

ტრენინგები მონაწილეებისგან მიიღებენ უკუკავშირს და მათი შენიშვნები და რჩევები გათვალისწინებული იქნება მომდევნო ტრენინგის უკეთ დასაგეგმად და მასში ცვლილებების შესატანად;

ტრენინგის ბოლოს, მონაწილეები შეავსებენ კითხვარს, რომლის მეშვეობითაც შეფასდება ტრენინგის საჭიროება, ხარისხი და ეფექტურობა;

ტრენინგის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი იქნება მონაწილეთა მიერ შევსებული დანართი #4;

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მაიკლ კაუფმანი: „მამაკაცის მხრიდან ძალადობის 7 პრინციპი“.
2. მაიკლ კაუფმანი: „ტკივილი როგორც ძალაუფლების რესურსი, ძალაუფლება როგორც ტკივილის წყარო; მამაკაცური ძალაუფლების წინააღმდეგობრივი გამოცდილება“.
3. გაეროს მოსახლეობის ფონდის და ნორვეგიის მთავრობის ერთობლივი რეგიონალური პროექტის “დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” ფარგლებში კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის (ICCN) მიერ მომზადებული ტრენინგ მოდული “დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში”

# დანართები

## დანართი №1:

მამაკაცი, რომელიც თავის ცოლს ეხმარება მისი მონაა (გამოთქმა ინდოეთიდან)
უპატრონო სახლი იგივეა, რაც უქმრო ქალი (შუმერული ანდაზა)
მშინარა ბიჭმა ხელზე სამაჯურები უნდა ატაროს (ინდოეთი)
ვინც ქალს დაუგდებს ყურს, მოსავალს ვერ ეღირსება (ზამბია)
ქალის ადგილი სამზარეულოშია (ა.შ.შ.)
კაცი მანქანაა, ქალი- მანაქანის სადგომი (აზიური ქვეყანა)
მახინჯი ცოლის ქმარს გაღვიძების ეშინია (ბრაზილია)
ქმარი თავია, ცოლი კისერი (ეს გამოთქმა ყველგან გვხვდება)
ქალის სიმორცხვე ქვეყნის ფასია, კაცის სიმორცხვე კვერცხის ფასია (ქართული გამოთქმა)
კაცი, რომელიც ომში არ წავა, თავზე ლეჩაქი უნდა დაიხუროს (ქართული)
გრძელი თმა და მოკლე ჭკუა (ქართული)
გოგოს დაბადება ოჯახის გაღარიბებაა, ბიჭისა კი გამდიდრება ( არაბეთი)
ვინც ბოლო, ის გოგო (ქართული)
ქალი უტვინო ძვლისგან არის შექმნილი


## დანართი №2

### 7 პრინციპი, რომელსაც გენდერული ძალადობა ეყრდნობა

#### 1. მამაკაცის ძალაუფლება

ძალადობის ცალკეული შემთხვევები „მამაკაცთა ძალადობის სამკუთხედიდან“ გამომდინარეობს“:

#### მამაკაცთა ძალადობა...



ძალადობა ჩნდება იქ, სადაც არა მხოლოდ ქალები იჩაგრებიან მამაკაცებისგან, არამედ თავად მამაკაცები. ამას ჩვენ ბავშვობიდანვე გვაჩვენენ, სიყრმის ასაკიდან გვაქვს გათავისებული, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის ჩაგვრის გარდაუვალი საჭიროება საერთოდ არ არსებობს.

ამის შედეგად კაცები ხშირად ამისამართებენ უარყოფით ემოციებს, - ბრაზს, - საკუთარ თავზე, რაც ხშირად სრულდება გარკვეულ ნივთიერებებზე - ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები და ა.შ. - დამოკიდებულებით, თვით-დაზიანებით.

საზოგადოებაში, სადაც მამაკაცები პრივილეგიებითა და უპირატესობებით სარგებლობენ, სამკუთხედში მოცემული ტრიადის სამივე ელემენტი ერთმანეთს აძლიერებს და განაპირობებს.

ჩვენს თანამედროვეობაში შემორჩენილი, ძალადობაზე აგებული ურთიერთობები ხშირად ბუნებრივად არის მიჩნეული, მას ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რადგან სოციალური სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად ქცეულა და შესაბამისი იდეოლოგიითაც არის ხოლმე გამაგრებული. ეს იდეოლოგიები ამ უსამართლო რეალობას გამართლებას უძებნის და სიცოცხლესაც უხანგრძლივებს. საგანგებოდ არც არავის მიუსჯია მხოლოდ ქალისთვის ჭურჭლის რეცხვა, თუმცა ამ არასასიამოვნო საქმეს რატომღაც დედას ან დას ვუტოვებთ ხოლმე; ისე, რომ არც ვფიქრობთ და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ.

რა თქმა უნდა, ამას თავისი საფუძველი აქვს: ეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის პრივილეგიებისა და ძალაუფლების შენარჩუნების საფუძველიცაა და შედეგიც, ისევე როგორც დისკრიმინაცია სოციალური წარმომავლობის, გვარიშვილობის, ქონების, ასაკის, აღმსარებლობის საფუძველზე. მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეები ამაზე ხშირად ფიქრობდნენ და გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის რევოლუციონირებაც კი მოახერხეს. იმ დროისთვის სწორედ დიდებულთა გვარის მატარებლები აღნიშნავდნენ, რომ, მაგალითად, ნიჭი გვარიშვილობით სულაც არ გადადის, ნიჭიერი, „არისტოკრატი თუ მდაბიო“, საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით უნდა შეფასდეს. მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე ქალთა განათლების უფლებაზე საუბრობს.

## **2. ბუნებრივად მიჩნეული პრივილეგიები**

კაცი, რომელიც ძალადობას მიმართავს, შეიძლება სულაც არ იყოს ორიენტირებული ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ყველა შემთხვევაში, ხშირად ეს მის ცნობიერ მიზანს არ წარმოადგენს. სულაც არ სჭირდება ეს ადამიანს, რომელსაც იმთავითვე გათავისებული აქვს, რომ ქალზე მაღლა დგას და უნდა იდგეს კიდევ, რომ მასზე მეტი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, რომ ეს „ბუნებრივია“. ამრიგად, ის კანონზომიერად მინიჭებულ პრივილეგიებს მექანიკურად იცავს და ცდილობს, ის შეინარჩუნოს.

ბევრი კაცი ცოლს სადილის დაგვიანების გამო სცემს. ასეთ შემთხვევაში ქმრის მიზანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს:

მამაკაცის საქციელი ასეთ დროს პირველ რიგში იქიდან გამომდინარეობს, რომ ჰგონია, - ქალი მას უნდა მოემსახუროს.

ამრიგად, საქმე მხოლოდ ძალაუფლებრივ უთანასწორობაში არ არის. პრობლემა ის არის, რომ ეს უთანასწორობა და ჩაგვრა გასიგრძელებული და გაშინაგანებულია (როგორც კაცებში, ასევე სამწუხაროდ ხშირად ქალებშიც).

### **3. დაშვება**

მამაკაცთა მხრიდან ძალადობა, რაც არ უნდა ძველი მოვლენა იყოს, ჩვენს თანამედროვეობაში აღარ იარსებებდა, რომ არა ირიბი თუ პირდაპირი გამართლება საზოგადოებრივი ჩვევა-წესებისა თუ ზოგჯერ კანონების მხრიდან.

ბევრ ქვეყანაში ცოლის მიმართ ძალადობაზე (მათ შორის, სექსუალური ხასიათის ძალადობაზე) სასჯელი ღმობიერია ან საერთოდ არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში არსებობს შესაბამისი კანონები, მაგრამ ისინი არ მუშაობს. ზოგიერთ ქვეყანაში კი კანონი აბსურდის სახეს იღებს; მაგალითად, ერთგან ქალის გაუპატიურება მხოლოდ მაშინ დაისჯება, როცა 4 მამაკაცი მოწმე დაადასტურებს ძალადობის ფაქტს, თავად ქალის ჩვენებას კი არაფრად აგდებენ.

საყურადღებოა ისიც, რომ მამაკაცთა მხრიდან ძალადობა და აგრესიული ქცევა (ამ შემთხვევაში, სხვა კაცების მიმართ) ატაცებულია ისეთი სფეროების მიერ, როგორიცაა სპორტი, კინო, ლიტერატურა, სამხედრო საქმე. ძალადობა არა მხოლოდ დაშვებულია, არამედ ნახალისებულიც. ეს პატრიარქალური საზოგადოების წესია, - ძალის გზით ნებისმიერი პრობლემისა და უთანხმოების გადაჭრა - იქნება ეს ინდივიდთა შორის, მამაკაცთა საზოგადოებაში თუ ერებს შორის.

როდესაც ქალი ან მამაკაცი მეზობელი ქალის ან ბავშვის მიმართ ძალადობის შემსწრეა და პოლიციას არ ატყობინებს, ეს სწორედაც ძალადობის დაშვებაა. ხშირად არასწორად მიიჩნევენ, რომ მსგავსი ოჯახური კონფლიქტი „პრივატული“, კერძო საქმეა. წარმოგიდგენიათ, ადამიანი მალაზიის ძარცვას

შეესწროს და პოლიციას არ გამოუძახოს მიზეზით, რომ ეს მძარცველსა და მალაზიის მეპატრონეს შორის არსებული კერძო კონფლიქტია?

#### 4. კაცთა ძალაუფლების პარადოქსი

თუმცა ზემოთქმული ყველაფერს არ ხსნის. აქ საჭიროა გავაცნობიეროთ ერთი მომენტი, რომელსაც მამაკაცთა ძალაუფლების წინააღმდეგობრივი პრაქტიკა შეიძლება ვუწოდოთ.

ის ფორმა, რომლითაც აგებულია ჩვენი ინდივიდუალური და სოციალური ურთიერთობები, დიდი შიშების, იზოლაციის და მტკივნეული განცდების წყაროდ იქცევა თავად მამაკაცებისთვის. თუ ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების გზა დომინირებასა და კონტროლზე გადის, ჭაბუკს ან მამაკაცს ხშირად უწევს „ძლიერად“ თავის წარმოჩენა, - იძულებულია გარკვეული აბჯარი შეისხას - რათა თავი ემოციურად დისტანცირებულად წარმოაჩინოს. „ემოციები ხომ ქალის საქმეა?“

საქმე იმაშია, რომ მამაკაცურობის თითქოსდა აუცილებელი ნიშნები მოლოდინებად იქცევა - კაცი ფიქრობს, რომ სხვების მოლოდინი უნდა გაამართლოს, რათა ძალაუფლება და სახელი მოიხვეჭოს, მაგრამ პრობლემა სწორედ ეს არის: გათავისებული მოთხოვნების სრულად და ბოლომდე დაკმაყოფილება ადამიანისთვის შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ქალსა და მამაკაცს შორის მკაცრი სოციალური ზღვარია გავლებული, სადაც კაცის საქმე და ქალის საქმე ან/და ქცევა ცალ-ცალკეა დადგენილი. ეს შეიძლება იყოს გარკვეული ფიზიკური უნარი, ფინანსური წარმატება...

ბიოლოგიურად, ბუნებით კაცებს ისევე ახასიათებთ ემოცია, როგორც ქალებს, თუმცა კაცები ნაკლებად ემოციურები არიან, - ყველა შემთხვევაში, ასე ჩანს, რადგან მიიჩნევენ, რომ საკუთარი მასკულიზურობის წარმოსაჩენად გრძნობები უნდა მოთოკონ, ქცევა და გუნება მუდმივად უნდა აკონტროლონ - განსაკუთრებით საზოგადოებაში, მათ შორის, სანაცნობო წრეში. ასე ხშირად იქცევიან ჭაბუკები. ბიჭებს შორის მამაკაცური იმიჯის შელახვის საფრთხე იმდენად მწვავედ არის აღქმული, რომ ახალგაზრდები, როგორც წესი,

საკუთარ თავს აწვალენ და იზღუდავენ, მუდმივად შიშისა და ეჭვების ქვეშ არიან, რაც აგრესიაში გადაიზრდება ხოლმე. ეს აგრესია საკუთარი თავის მიმართ დისკომფორტს და ზოგჯერ სიძულვილსაც განაპირობებს.

ასეთ ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ძალადობა კომპენსატორული მექანიზმია. ძალადობა იმ გზად ესახება კაცებს, რომლის მეშვეობით საკუთარ კაცობას ხაზს გაუსვამენ, წონასწორობას აღადგენენ, ამ დროს კი პირველ სამიზნედ ის იქცევა, ვინც ფიზიკურად შედარებით სუსტი და დაუცველია. ასეთი ვინ არის? ზოგჯერ ბავშვი, ზოგჯერ - ქალი, სხვა შემთხვევაში - გარკვეული სოციალური ჯგუფი, იქნება ეს რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობა.

ძალადობა არ აღმოიფხვრება, სანამ ის გამართლებული და მონონებული, ან უბრალოდ შეწყნარებულია სხვების მიერ.

მამაკაცთა შორის და მამაკაცთა მიერ ჩადენილი ძალადობა დაუმსახურებელი პრივილეგიებისა და ძალაუფლების, მათი სამართლიანად მიჩნევის და ასევე უმრავლესობის მიერ სხვადასხვა სახის ჩაგვრაზე დუმილით არის განპირობებული. ამას ემატება ის ზეწოლა, რასაც თავად მამაკაცი განიცდის საკუთარი ძალაუფლების მხრიდან. მაგრამ არსებობს ასევე სხვა მიზეზი.

## **5. კაცობის „ფსიქოლოგიური აბჯარი“**

კაცების ძალადობა იმ ხასიათით არის განპირობებული, რომელიც სხვებისგან ემოციურ დისტანციას ითვალისწინებს. ასეთი ტიპის მასკულიზმობა ბავშვობიდან ყალიბდება, იქ, სადაც ხშირად მამის და უფროსი მამაკაცების არარსებობა ჩვეული მოვლენაა. თუმცა კაცობის მნიშვნელობა ყველა შემთხვევაში დედის და ქალურობისგან გამიჯვრებით ისაზღვრება, - უარყოფილია ისეთი თვისებები, როგორცაა მოვლა და ზრუნვა. ეს გავლენას ახდენს მოზარის ხასიათზე - ყალიბდება ფსიქიკა, რომელიც მოკლებულია თანაგრძნობის - სხვათა გრძნობების გაცნობიერების უნარს.

ცხადია, ამის შემდეგ სხვების მიმართ ძალადობა შესაძლებელი და მოსალოდნელიცაა. რამდენჯერ გვსმენია მამაკაცისგან, ქალზე ხელი აღემართა

და მერე ეთქვა, სინამდვილეში არ მიტკვნიო. კი, ის ცდილობს გაამართლოს საქციელი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ის გარკვეულწილად მართლაც ვერ გრძნობს სხვის ტკივილს, არ შეუძლია ეს გაიგოს.

## **6. კაცურობა, როგორც ფსიქოლოგიური წნეხი**

კაცურობის ძირითადი ფორმები ხასიათდება სხვადასხვა ტიპის გრძნობების ჩახშობით (გამოხატვის ნაცვლად), რაც შემდეგში გამოსავალს სიბრაზეში პოულობს. მამაკაცის ემოციური მხარე ადრეული ასაკიდანვე დახშულია და თანაგრძნობის უნარიც დაქვეითებულია. გარდა ამისა, ბუნებრივი ემოციების გამოხატვა უსარგებლოდაცაა მიჩნეული.

ჭაბუკებს პირველ რიგში შიშისა და ტკივილის გრძნობის ჩახშობას აჩვენებენ. სათამაშო მოედანზე სწორედ ამას ვთხოვთ მოზარდებს - ტკივილის ატანას. სახლში ბიჭებს მოვუწოდებთ, ცრემლები არ გადმოყარონ და კაცივით მოიქცნენ. მათაც სხვა გზა არ აქვთ - გადარჩენის ინსტინქტია; ეს გარემოება ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, როცა მამაკაცს ძალადობაში ვამხელთ, თუნდაც იმ შემთხვევებში, როცა მისი მხრიდან სხვის ჩაგვრას გამართლება არ აქვს.

ბუნებრივია, მამაკაცებიც ემოციური ადამიანები არიან, მაგრამ მათში სიბრაზე სხვადასხვა გრძნობის გამოხატვის, ემოციებისგან დაცვლის ყველაზე აღიარებული გზაა. რა თქმა უნდა, ამისკენ მიდრეკილება მხოლოდ მამაკაცებში არ შეინიშნება, და ეს ყველა მამაკაცსაც არ ეხება, მაგრამ ზოგადად, შიშის, ტკივილის, უსაფრთხოების განცდის, უარყოფის ან დამცირების საპასუხო გზა როგორც წესი, მრისხანებაა. განსაკუთრებით მწვავედება აგრესია, როცა კაცი ძალაუფლებას და საკუთარ თავსა და სხვებზე კონტროლს ვერ ინარჩუნებს - კაცობა ხომ ამის საპირისპირო მნიშვნელობით არის განსაზღვრული. ძალადობა ამ დროს ერთადერთ საშუალებად იქცევა, საკუთარ თავს და სხვებს სიძლიერეში დაარწმუნონ.

## **7. წარსული გამოცდილება**

ბავშვობა დიდ როლს თამაშობს. ბევრი კაცი გაზრდილა ოჯახში, სადაც დედას მამა სცემდა. ამის შემხედვარე მოზარდი ასკვნის, რომ ქალების მი-

მართ სისასტიკე დასაშვებია, ჩვეულებრივი ამბავია. ზოგიერთში ეს მანდი-ლოსებისადმი ძალადობის სიძულვილს და პროტესტის გრძნობას ავითარებს, თუმცა ბევრისთვის ეს დასწავლილი, მიბაძვით შექმნილი უნარია. კვლევები აჩვენებს, რომ გოგონები და ბიჭები, რომლებიც ძალადობრივ გარემოში გაიზარდნენ, უფრო მიდრეკილი არიან თავად ჩაიდინონ ძალადობა.

### დანართი №3:

მიზანი	სტერეოტიპული მიდგომებისაგან გასათავისუფლებლად მათი ეჭვქვეშ დაყენება. როგორ გამოვიყენოთ სიტყვა "რატომ" რაც შეიძლება ეფექტურად
სავარჯიშოს აღწერა	<p>I ეტაპი: ჯგუფი ასახელებს და ტრენერი ფლიპჩარტზე წერს რეგიონში არსებული გენდერული ტრადიციების ნუსხას.</p> <p>II ეტაპი: მონაწილეები იყოფიან წყვილებად და თითოეული წყვილი ირჩევს თითო ტრადიციას საერთო ნუსხიდან. ორიდან ერთი იქნება ამ ტრადიციის დამცველის როლში და მეორე დასვამს 5 შეკითხვას კითხვით "რატომ". პირველი ცდილობს, გაამართლოს არსებული ტრადიცია, მეორე ცდილობს, ეჭვი შეიტანოს ამ ტრადიციის მართებულობაში.</p> <p>III ეტაპი: წყვილები როლებს ცვლიან და ახლა ის, ვინც იცავდა ტრადიციას, დასვამს შეკითხვებს კითხვით "რატომ" და მეორე შეეცდება, გაამართლოს. კითხვა-პასუხი მიმდინარეობს წყვილებში/მთელი ჯგუფის წინაშე</p> <p>IV ეტაპი: შეაჯამეთ მთელი პროცესი მთელ ჯგუფთან ერთად. უპასუხონ კითხვებს:</p> <p>როდის გაუჭირდათ ტრადიციის დაცვა ყველაზე მეტად?</p> <p>როდის გაუჭირდათ კითხვების დასმა ყველაზე მეტად?</p>
საჭირო მასალები	ფლიპჩარტი

## დანართი №4:

რას ეხება შემდეგი დებულებები, გენდერს თუ სქესს?

	დებულებები	გენდერი	სქესი
1	ქალები აჩენენ ბავშვებს, მამაკაცები – არა		
2	პატარა გოგონები ნაზები არიან, ბიჭები კი – უხეშები.		
3	ქალს შეუძლია, ბავშვი ძუძუთი კვებოს. მამაკაცს შეუძლია, ბავშვი ბოთლით გამოკვებოს.		
4	ინდოეთის სოფლის მეურნეობაში ქალები მამაკაცის ხელფასის 40%-ს ღებულობენ.		
5	მშენებლები მამაკაცები არიან.		
6	ძველ ეგვიპტეში მამაკაცები შინ მუშაობდნენ, ქალებს ოჯახის ბიზნესი მიჰყავდათ. ქალს რჩებოდა მემკვიდრეობით ქონება, მამაკაცს – არა.		
7	მამაკაცს გარდამავალ ასაკში ხმა ეცვლება, ქალს – არა.		
8	224 კულტურის გამოკვლევის თანახმად, 5-ში მამაკაცი ასრულებს საჭმლის მომზადების ყველა ფუნქციას, 36-ში ქალი უძღვება ყველა სამშენებლო საქმიანობას.		
9	გაერო-ს სტატისტიკის თანახმად, ქალები მთელი მსოფლიოს სამუშაოს 67%-ს ასრულებენ, თუმცა მათი შემოსავლები მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ 10%-ს შეადგენს.		



